პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 285 (18827) სამშაბათი, 13 დეკემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მეტი მაღალხარისხოვანი სახალხო მოხმარების საქონელი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის გამოშვების გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ჭეყნის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ხელმძღვანელობენ თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით, ისწრაფიან ღირსეული წვლილი შეიტანონ საბჭოთა ხალხის ეთნიერდობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის პარტიის მიერ წამოყენებული პროგრამის განხორციელებაში, გადაწყვეტეს გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მაღალხარისხოვანი სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისათვის, იკისრეს 1984-1985 წლების გადიდებული ვალდებულებანი და ქვეყნის საწარმოებისა და საწარმოო გაერთიანებების კოლექტივებს მოუწოდეს მიჰბაძონ ზთის მაგალითს.

ქვეყნის მოწინავე კოლექტივები — რუსეთის სფსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს ივანოვოს თ. ნ. სამოილოვის სახელობის ბამბეულის კომბინატის, რუსეთის სფსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მოსკოვის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ზარიასა“ და დიმიტროვის სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „იუნოსტის“, უკრაინის სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ვორშილოვგრადის სკკპ XXV ყრილობის სახელობის ტრიკოტაჟის ფაბრიკის, სსრ კავშირის ძმეგი და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „ურალმანქანის“, ლიტვის სსრ ავეჯისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის ავეჯის კომბინატ „ვილნიუსის“ კოლექტივების ინიციატივა მოიწონა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა.

შეჯიბრების ინიციატორთა მოწოდების მხარი დაუჭირეს ჩვენი რესპუბლიკის ბევრ შრომითს კოლექტივში. ამის შედეგად უკვე ოქტომბერში გამოშვებული იყო წინა თვესთან შედარებით 26,4 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების სახალხო მოხმარების საქონელი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა სამრეწველო საწარმოების — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის ტრიკოტაჟის საცვლის საწარმოო გაერთიანების, 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, ფოთის საქალაქო სამრეწველო კომბინატის, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის საწარმოო გაერთიანებისა და სხვა სამრეწველო საწარმოების კოლექტივთა სოციალისტური ვალდებულებანი მაღალხარისხოვანი სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების შესახებ.

საწარმოებისა და სამრეწველო გაერთიანებების, სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო დაწესებულებების პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ გააქტიურონ მუშაობა, რათა შრომითმა კოლექტივებმა გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება და იკისრონ 1984-1985 წლებისათვის სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების, ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების, მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე ახალი ნიმუშის პროდუქციის შექმნისა და წარმოებაში დანერგვის ვალდებულებანი.

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცა გააშქეოს, თუ როგორ ასრულებენ საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივები სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება, მისი ასორტიმენტის გაფართოება და ხარისხის ამაღლება, გაუჯობესებული სამომხმარებლო თვისებების მქონე ახალი ნიმუშის საქონლის შექმნა და წარმოებაში დანერგვა. ყოველკვარტალურად უნდა შეჯამდეს ხალხისათვის მაღალხარისხოვანი საქონლის გამოშვების მიზნით გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს პროფსაბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს, საქართველოს ალკპ ცენტრალურ კომიტეტს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციების პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ ფართოდ გაშალონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა საუკეთესო ნიმუშების შესაბამისი მასობრივი მოთხოვნილების საქონლის გამოშვების გადიდებისათვის შრომითი კოლექტივების დასარაზმავად. საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო, სამოდელო ორგანიზაციების კოლექტივთა მეცნიერებმა უნდა მოხმარდეს საქონლის ასორტიმენტის შემდგომი გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მისი წარმოების მოცულობის გადიდებისათვის, მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე ნაწარმის შემუშავებისა და ათვისებისათვის დაბალფასიანი რეზერვების გამოყენებას. (საქინფორმი).

საქართველოს მეხილეთა დიდი გამარჯვება

რესპუბლიკაში დამზადებულია 540.500 ტონა ხილი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 540.000 ტონისა

სასოფლო-სამეურნეო წლის ფინიშზე დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის მეხილეებმა. გაერთიანება „საქსოფლდამზადების“ ოპერატიული მონაცემებით, შესრულდა ხილის დამზადების წლიური გეგმა. მიმღებ პუნქტებში 540.500 ტონა ხილი გაიგზავნა გეგმით გათვალისწინებული 540 ათასი ტონის ნაცვლად. წარმატება მით უფრო სასიხარულოა, რომ იგი მოპოვებულია იმ პირობებში, როცა უამინდობამ გაზაფხულზე და ზაფხულში სოფლის მშრომელებს დამატებითი სიძნელეები შეუქმნა. მეხილეები მუშაობდნენ ძალების უკიდურესი დაძაბვით. (საქინფორმი).

ამოცანებს დრო გვიკარნახებს

საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლდამზადების“ თავმჯდომარეს თ. ურუშაძეს გენმარტა რესპუბლიკის მეხილეთა წარმატება.

— როგორც ცნობილია, მეხილეობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, — თქვა მან. —მას პრაქტიკულად ყველა რეგიონში მისდევენ. მაგრამ ამჟერად მინდა გამოვეყო დასავლეთ საქართველო. საქმე ის არის, რომ ამ რეგიონის მეურნეობებმა ყველაზე არსებითი წვლილი შეიტანეს დარგის შემდგომ განვითარებაში: გეგმით გათვალისწინებული 182 ათასი ტონის ნაცვლად დაამზადეს 210 ათასი ტონა ხილი. ამ მიჯნას მათ პირველად მიაღწიეს.

ამბობენ სტატისტიკა მოსაწყენი რამ არისო. მაგრამ სწორედ სტატისტიკა მჭევრმეტყველურად, თვალსაჩინოდ მოწმობს, თუ როგორ იმუშავა ამა თუ იმ რაიონმა, როგორი მაჩვენებლებით ამთავრებს 1983 წელს. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. ვანის რაიონის მშრომელებმა დაამზადეს 12.600 ტონა ხილი, გეგმით გათვალისწინებული 8.300 ტონის ნაცვლად, სამტრედიისამ —9.600 ტონა, 5.700 ტონის ნაცვლად, ლანჩხუთისამ — 23.500 ტონა, 15.500 ტონის ნაცვლად, აბარის ასს რესპუბლიკის მოწამთმოქმედებმა 20.700 ტონა, 17.400 ტონის ნაცვლად. მალე გაანაღდებენ დავალებას აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მეხილეებიც. ყველა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ გეგმას წარმატებით შეასრულებენ სამხრეთ ოსეთის მეურნეობები, რომლებსაც განზრახული აქვთ წელს მოგვაცენ 25.000 ტონა ხილი — ორჯერ მეტი, ვიდრე შარშან.

მაგრამ წამყვანი ადგილი, როგორც ყოველთვის, უჭირავს ქართლის ველის მეურნეობებს. ან რა გასაკვირია: აქ ხომ საქართველოს მთავარი ხეხილის ბაღია. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო გორის რაიონი ყოველწლიურად იძლევა ხილის დამზადების რესპუბლიკური გეგმის მეხუთედს. გამონაკლისი არც წლევანდელი სეზონია. გეგმით გათვალისწინებული 129 ათასი ტონიდან რაიონში უკვე დამზადებულია 125 ათასი ტონა ხილი, მაგრამ აქ გრძელდება ხილის კრეფა.

დამკვრელური მუშაობის მაგალითს გვიჩვენებენ სოციალისტური შეჯიბრების აღიარებული ლიდერები — ბერბუკის საბჭოთა მეურნეობის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი ა. ღოლოჯავილი, სკრის საცდელი სადგურის აგროგანყოფილებათა ხელმძღვანელები ა. ძამაშვილი და მ. კურტანიძე. უხვი მოსავლის ოსტატების სახელი მოიხვეჭეს სოფელ ტყვიავის კოლმეურნეობის მშრომელებმაც, რომლებიც ყოველ წელს ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. კარგად მიდის საქმე აგრეთვე კასპის, ქარელისა და სხვა რაიონებში.

მებაღეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სწრაფადგანვითარებადი დარგია. მისი სტაბილური აღმავლობა განაპირობა შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვამ, სელექციონერთა წარმატებებმა, სხვა ფაქტორებმა. იმას, თუ რაოდენ ინტენსიურად ჯითარდება დარგი, მოწმობს ციფრები: 1971 წელს რესპუბლიკაში დამზადებული იყო მხოლოდ 150 ათასი ტონა ხილი, წელს კი — რამდენჯერმე მეტი. იმ წლებში არც კი ოცნებობდნენ მიჯნებზე, რომლებსაც დღეს ჩვენმა მებაღეებმა მიაღწიეს.

წარმატებით სრულდება საკავშირო ფონდში ხილის გაგზავნის პროგრამა. ჯეროვნად უნდა მივაგოთ ყველა მეურნეობას, რომლებიც ახორციელებენ ამ პროგრამას. როგორც ადრე, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები დიდ ყურადღებას უთმობენ აგრეთვე პროდუქციის ხარისხს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმებულად მუშაობენ სატრანსპორტო ორგანიზაციებიც. მათი საქმიანობის მასშტაბზე შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც იმის მიხედვით, რომ გადაზიდვისთვის გამოყოფილია 35 ათასზე მეტი რკინიგზის ვაგონი და ავტორეფრეფერატორი. მათ საქართველოს ხილი ჩაიქეთ ქვეყნის ორმოცდაათზე მეტ ქალაქში. ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ უკვე გაიგზავნა ასი ათას ტონაზე მეტი ხილი.

როცა მეხილეების წარმატებებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ შევეხოთ აგრეთვე სხვა, მეხილეობის მონათესავე და არანაკლებ მნიშვნელოვან დარგს— მეციტრუსეობას. ამ სეზონში ერთობ გულუხვი აღმოჩნდა რესპუბლიკის ციტრუსის ბაღი. ჩვენი სუბტროპიკების პრაქტიკულად ყველა რაიონი წარმატებით ანაღდებს წლის დავალებებს, გადაჭარბებით ასრულებს ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონში პროდუქციის გაგზავნის გეგმებს.

ერთი სიტყვით, წელს რესპუბლიკაში სოფლის მშრომელების, დამამზადებლების, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციების თავდადებული შრომის მეოხებით კარგი საფუძველი შეიქმნა მეხილეობის შემდგომი აღმავლობისათვის სასურსათო პროგრამით დასახული ამოცანებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ბარაძალა თქვენს გარჯას, მებაღეებო!

თავდადებით იშრომეს გორის რაიონის სოფელ ფლავის „ჩვენი შრომის“ სახელობის კოლმეურნეობის მეხილეებმა, რომლებმაც 2600 ტონის ნაცვლად (ვალდებულება — 2650 ტ.). 2800 ტონაზე მეტი ხილი მოკრიფეს. ხილის კრეფაში თავი გამოიჩინა კომკავშრელმა მარინე ფოსურამ, რომელიც ხაშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა კოლმეურნეობაში. იგი ყოველდღიურად 350 კილოგრამის ნაცვლად 450-550 კილოგრამ ვაშლს კრეფდა.

სურათზე: ასე იღვწოდა მ. ფოსური ვაშლის კრეფისას.

ვ. გენგიურის ფოტო.

მხარი ვუსწოროთ მეწინავეებს

მაღალი მიჯნები

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის ტრიკოტაჟის საცვლის საწარმოო გაერთიანების, 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, მოდელის ფეხსაცმლის ფაბრიკის, კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატის, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის ლითოფონის ქარხნის, სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხნის, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ფოთის საქალაქო სამრეწველო კომბინატის, ქუთაისის საწარმოო გაერთიანებისა და სხვა საწარმოების კოლექტივებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ქვეყნის მოწინავე საწარმოთა მშრომელების მოწოდებას გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მაღალხარისხოვანი სახალხო მოხმარების საქონლის გადიდებისათვის, იკისრეს 1984-1985 წლების გადიდებული ვალდებულებანი.

თბილისის ტრიკოტაჟის საცვლის საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა იკისრა ვალდებულება:

— ხუთწლედის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით აწარმოოს 100 ათასი ერთეული ტრიკოტაჟის ნაწარმი, რომელიც დიდი მოთხოვნაა;

— შეიმუშაოს ხარისხის უმაღლესი კატეგორიის 60 ახალი მოდელის ნაწარმი და აითვისოს მისი წარმოება;

— სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვება გაადიდოს 37 პროცენტამდე, ახალი მოდელის ტრიკოტაჟის ნაწარმისა — ასეთი ნაწარმის გამოშვების საერთო მოცულობის 45 პროცენტამდე, აითვისოს გამოშვება 8 ახალი სახეობის ნაწარმისა პრესტიჟული ემბლემით „დამზადებულია თბილისში“;

— დაამონტაჟოს და აითვისოს განსაკუთრებით მოდური ნაწარმის გამოშვების ახალი ტექნოლოგიური ნაკადი — წელიწადში 50 ათასი ნაწარმის სიმძლავრისა;

— შეიმუშაოს და წარმოებაში დანერგოს 12 სახეობის შემსუბუქებული სტრუქტურის ტრიკოტაჟის ქსოვილის წარმოება, რის შედეგადაც დაზოგოს 100 ტონა ძირითადი ნედლეული.

თბილისის 1 მაისის სახელობის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა:

— 1984-1985 წლებში ყოველწლიურად გეგმის გადაჭარბებით გაასაღოს 200 ათასი მანეთის პროდუქცია;

— ყოველწლიურად სახელმწიფო ხარისხის ნიშნის მოსაპოვებლად წარადგინოს 14 მოდელის ნაწარმი;

— ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი წარმოების საერთო მოცულობაში გაზარდოს 79,1 პროცენტამდე;

— შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 0,5 პროცენტით, წარმოების მოცულობის 90 პროცენტის მატება უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით;

— 5 პროცენტით შემციროს სამუშაო დროის არამწარმოებლური დანაკარგები;

— ხუთწლედის დამლევამდე დანერგოს წარმოებაში 275 ერთეული ახალი მაღალმწარმოებლური მოწყობილობა;

— მოამზადოს 225 ახალი მუშა, უზრუნველყოს 810 მუშის პროფესიული ოსტატობის ამაღლება;

— მიიღოს 100 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება;

— რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად მიიღოს სულ ცოტა 265 ათასი მანეთი პირობითი წლიური ეკონომია.

თბილისის მოდელის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა:

— ხუთწლედის დამლევამდე სახელმწიფო ხარისხის ნიშნის მოსაპოვებლად წარადგინოს 39 სახეობის პროდუქცია;

— საპატიო ხუთკუთხედიანი პროდუქციის გამოშვება გაზარდოს წარმოების საერთო მოცულობის 49,7 პროცენტამდე;

— გეგმის გადაჭარბებით გაასაღოს 20 ათასი მანეთის პროდუქცია;

— მოამზადოს 203 ახალი მუშა, ამამაღლოს 302 მუშის კვალიფიკაცია;

— ყოველწლიურად სამუშაო დროის არამწარმოებლური დანაკარგები შეამციროს 2 პროცენტით;

— 1984-1985 წლებში დაამონტაჟოს 38 ერთეული ახალი მაღალმწარმოებლური მოწყობილობა;

— მიიღოს 230 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება;

კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივმა იკისრა ვალდებულება:

— 1984-1985 წლებში სახელმწიფო ხარისხის ნიშნის მოსაპოვებლად წარადგინოს სულ ცოტა 7 სახეობის ნაწარმი, ხოლო წარმოების საერთო მოცულობაში ამ საქონლის ხვედრითი წილი გაზარდოს 11,5 პროცენტამდე;

— გეგმის გადაჭარბებით გაასაღოდოს 400 ათასი მანეთის პროდუქცია;

— წარმოების მოცულობის მატების 75 პროცენტს მიაღწიოს შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით;

— მოამზადოს 610 ახალი მუშა, ამამაღლოს 860 მუშის კვალიფიკაცია;

— 1984 წელს სამუშაო დროის არამწარმოებლური დანაკარგები შეამციროს 5 პროცენტით, ხოლო 1985 წელს — 4 პროცენტით;

— 1984-1985 წლებში ამოქმედოს 900 თითისტარი და 20 საფეიქრო დაზგა;

— რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით დაზოგოს 56 ათასი მანეთი;

აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა გადაწყვიტა:

— სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის წარმოება 1985 წელს გაზარდოს პროდუქციის გამოშვების საერთო მოცულობის 27,7 პროცენტამდე, გეგმის გადაჭარბებით აწარმოოს და გაასაღოს მილიონი მანეთის პროდუქცია;

— პროდუქციის წარმოების მატების 70 პროცენტს მიაღწიოს შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით;

— ამოქმედოს 60 ახალი საფეიქრო დაზგა;

— რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად მიაღწიოს 225 ათას მანეთ პირობით წლიურ ეკონომიას;

— მოამზადოს 162 ახალი მუშა, პროფესიული ოსტატობა აუმაღლოს 710 მუშას;

— განაგრძოს ბრძოლა „წარმოების მაღალი კულტურისა და სანმოშო დისციპლინის საწარმოს“ საპატიო წოდების შენარჩუნებისათვის;

— უზრუნველყოს პროდუქციის ხარისხის ამაღლების გათვალისწინებით მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება;

ბათუმის ხისდამმუშავებელი კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა:

— ვადამდე დაამთავროს საწარმოს ტექნიკური განახლება და 1984 წელს აჯობოს წარმოება 1983 წელთან შედარებით გაზარდოს 164 პროცენტით;

— 1985 წელს სახელმწიფო ხარისხის ნიშნის მოსაპოვებლად წარადგინოს პროდუქციის ხვედრითი წილი გაზარდოს 90 პროცენტამდე;

— ვადამდე, 1984 წლის პირველ ნახევარში აითვისოს მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე სამზარეულო კომპლექტის „აჭარის“ გამოშვება;

— უზრუნველყოს ავეჯის ხარისხის გაუმჯობესება, ამასთან გამოიყენოს თანამედროვე მოსაპირკეთებელი მასალები, პოლიეთილენული მინანქარი, ნაწიბურის ფირფიტები და სხვ.

— მყიდველებისათვის დამატებითი მოსახერხებელი პირობების შექმნისათვის, ვაჭრობის თანამედროვე ფორმების დანერგვის მიზნით ბათუმში 1984 წელს გახსნას საფირმო მაღაზია;

— სახალხო მოხმარების საქონლის (ავეჯის გარდა) გამოშვება გაზარდოს 1985 წელს 300 მილიონ მანეთამდე;

ქუთაისის ლითოფონის ქარხნის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს:

— 1984 წელს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება 1983 წელთან შედარებით გაზარდოს 11,3 პროცენტით, ხოლო 1985 წელს 1984 წელთან შედარებით — 11,6 პროცენტით;

— ყოველწლიურად აითვისოს ერთი ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვება;

— ხუთწლედის დამლევისათვის ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი გაზარდოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების საერთო მოცულობაში 74,2 პროცენტით.

სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხნის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება:

— სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი ხუთწლედის დამლევისათვის გაზარდოს წარმოების საერთო მოცულობის 52 პროცენტამდე, ხოლო სახალხო მოხმარების საქონლისა — 100 პროცენტამდე;

— ახლადდელი პროდუქციის ნაცვლად აითვისოს გაუმჯობესებული ხარისხისა და გაზრდილი სიმძლავრის სამი სახეობის გასათბობი მოწყობილობის სერიული წარმოება და წარადგინოს ისინი ხარისხის უმაღლესი კატეგორიის მოსაპოვებლად;

— ხუთწლედის დამლევისათვის აითვისოს სახალხო მოხმარების საქონლის სამი სახეობის ახალი ნაწარმის გამოშვება;

ფოთის საქალაქო სამრეწველო კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა:

— ხუთწლედის დამლევამდე ერთნახევარჯერ გაზარდოს სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვება;

— შეიმუშაოს ხარისხის უმაღლესი კატეგორიის შესაბამისი ათი ახალი სახეობის ნაწარმი და აითვისოს მისი გამოშვება;

— გეგმის გადაჭარბებით გამოუშვას 1,8 მილიონი მანეთის პროდუქცია;

— 1984-1985 წლებში სავაჭრო ორგანიზაციებს მიაწოდოს 3,8 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების მაღალი მოთხოვნის საქონელი.

ქუთაისის საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა ვალდებულება იკისრა:

— 1984-1985 წლებში გეგმის გადაჭარბებით გამოუშვას 500 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი, მათ შორის სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი — 250 ათასი მანეთისა;

— აითვისოს 33 დასახელების გაზრდილი მოთხოვნის საქონლის გამოშვება;

— ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მოსაპოვებლად 1984 წელს წარადგინოს 5 სახეობის სახალხო მოხმარების საქონელი, ხოლო 1985 წელს — 8 სახეობის ასეთი საქონელი;

— 5 პროცენტით გაზარდოს საპატიო ხუთკუთხედიანი პროდუქციის ხვედრითი წილი;

შრომითმა კოლექტივებმა სამშობლოს აღუთქვეს, რომ მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას, ღირსეულ წვლილს შეიტანენ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

სოციალისტური ვალდებულებანი განხილული და მიღებულია საწარმოთა შრომითი კოლექტივების კრებებზე.

ჰროგლემა კომპლექსურად

შნდა გადაწყდეს

ბორის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების ბაღებში გაშიშვლდა ხეების ტოტები, რომლებიც ჯერ კიდევ ახლახან ნაყოფით იყო დახუნძლული. აქ დამთავრდა ხილის მოსავლის აღება. მოწეულია უხვი მოსავალი — 80 ათას ტონაზე მეტი, რაც გაცილებით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს. ბაღების თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მოწეულია 75 ცენტნერი პროდუქცია მაშინ, როცა შარშან მოწეული იყო სამიცი ცენტნერი. ხილის მოსავლის აღების დროს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ვარიანისა და შავშვების საბჭოთა მეურნეობებმა, ტყვიავის კოლმეურნეობამ.

— ხეხილის ბაღების მოსავლიანობის ამაღლების პრობლემებს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ვ. ხუციშვილმა, — კომპლექსურად ვწყვეტდით. კერძოდ, ძირითად ყურადღებას ვუთმობდით ინტენსიური ბაღების გაშენებას ახალი ტექნოლოგიით — შემჭიდროების წესით. მისი უპირატესობა ის არის, რომ ახლა ჰექტარზე განლაგებულია ჩვეულებრივზე ერთიორად მეტი ხეხილი. ამის შედეგია მოსავლის მნიშვნელოვანი მატება.

მთლიანი მოსავლის გადიდებას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი აგროტექნიკური წესების საგულდაგულოდ დაცვამ. შარშან ნიადაგში შევიტანეთ 150 ათას ტონაზე მეტი მარტო ორგანული სასუქები.

მეხილეებს მუშაობაში დიდი დახმარება გაუწია მეურნეობებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა ნამუშევრებმა. ეს არის, მაგალითად, სპეციალური ფრეზები, რომლებსაც დღემდე ვენახების დამუშავებისას იყენებდნენ. ახლა მათ ერთობ ეფექტიანად იყენებენ მეხილეებიც. ფრეზები არა მარტო კარგად აფხვიერებენ ნიადაგს, არამედ სარეველებსაც სპობენ. მიწათმოქმედთათვის ერთობ ხელსაყრელი გამოდგა აგრეთვე მწკრივთაშორისებისა და ხეებშუა ზოლების დასამუშავებელი ავტომატიზებული აგრეგატები. ერთი ჰექტარი მიწის გაფხვიერებისას სიაბლე რვა კაცს ცვლის. გაამართლეს თავიანთი დანიშნულება ახალმა კულტივატორებმა, რომლებსაც მიწის გაფხვიერების პარალელურად შეაქვთ მასში სასუქები.

დარგის ინტენსიურ განვითარებაზე მნიშვნელოვანწილად გავლენა მოახდინა სხვა ფაქტორებმაც. უწინარეს ყოვლისა, წარმოების ყველა უბანზე დისციპლინის მაკასიმალურმა განმტკიცებამ, მოსავლის აღებისა და ტრანსპორტირების დროს დანაკარგების აღმოფხვრამ, მუდმივმა კონტროლმა რაიონის გადამმუშავებელ საწარმოთა მუშაობისადმი. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ აგრეთვე სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა შრომის ანაზღაურების, მატერიალური სტიმულირების პოგრესული ფორმების დანერგვას.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება სერიოზულ ყურადღებას უთმობს მეხილეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. წლის დამლევამდე ძევერის საბჭოთა მეურნეობასა და ტყვიავის კოლმეურნეობაში საექსპლოატაციოდ გადასცემენ ახალ ხილის საცავებს, რომლებიც გაფვალისწინებულია ექვსი ათასი ტონა ხილის შესანახად.

მეხილეთა მიჯნები

1975 წელს დამზადდა 267.2 ათასი ტონა.
1980 წელს დამზადდა 460.0 ათასი ტონა.
1983 წელს დამზადდა 540.5 ათასი ტონა.

პარტიე ლი ცხოვრება: მიმდინარეობს კონფერენციები

პარტიული კომიტეტების პლენუმები

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში გრძელდება საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციები. მაღალი ორგანიზებულობა და საქმიანობა, რომლებიც აქ სუფევს, განსაზღვრავს ახლად არჩეული პარტიული კომიტეტების პირველი პლენუმების მიმდინარეობასაც.

გაიმართა აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული საოლქო კომიტეტის პირველმა პლენუმმა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია **ბ. ვ. ადლეიბა.** პარტიის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია **ჯ. ლ. ჩლაიძე,** მეორე მდივნად **რ. მ. ბუტბა, ო. გ. ზუხბაია, ა. მ. მოსკალენკო.**

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ს. ა. ჩხეიძემ.**

* * *

გაიმართა ბათუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული საქალაქო კომიტეტის პირველმა პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია **ლ. მ. გოლეაძე,** მეორე მდივნად — **თ. ს. ხახვა,** მდივნად — **ნ. მ. დუმბაძე.**

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. რ. პაპუნიძემ.**

* * *

გაიმართა ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის პარტიული კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველ პლენუმზე პარტიის ქალაქ თბილისის საქარხნო რაიკომის პირველ მდივნად აირჩეულ **კ. ვ. კაპანაძე,** მეორე მდივნად — **ვ. მ. ოგოროდოვი,** მდივნად — **გ. ე. ქათამაძე.**

* * *

გაიმართა ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პარტიული კონფერენცია.

პარტიის ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივნად პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პლენუმმა აირჩია **ნ. ი. ლაღიძე.** მეორე მდივნად არჩეულია **გ. მ. თალაკვაძე,** მდივნად — **მ. ვ. ვადაჭკორია.**

* * *

გაიმართა ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის პარტიული კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **მ. ა. წულაძე,** მეორე მდივნად — **ბ. ბ. სიჭინავა,** მდივნად — **ნ. ზ. ბალამწარაშვილი.**

* * *

გაიმართა ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის პარტიული კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველ პლენუმზე პარტიის ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **ა. ი. პავშენცევი,** მეორე მდივნად — **მ. ა. გოჩალეიშვილი,** მდივნად — **ზ. მ. ლელაშვილი.**

* * *

გაიმართა ახალციხის რაიონული პარტიული კონფერენცია.

საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველ მდივნად პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა აირჩია **დ. ი. კოტეტიშვილი,** მეორე მდივნად — **ც. ი. ლაფაჩი,** მდივნად — **გ. ზ. სარქისიანი.**

* * *

გაიმართა ზესტაფონის რაიონული პარტიული კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველ პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **გ. გ. გუმბარიძე,** მეორე მდივნად — **გ. დ. ძაბირაძე,** მდივნად — **ნ. ა. სალაძე.**

* * *

გაიმართა ზნაურის რაიონული პარტიული კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველ პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ზნაურის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **გ. ი. გაგიევი,** მეორე მდივნად — **ნ. ი. ბაბუციძე,** მდივნად — **ხ. გ. ხობაევა.**

* * *

გაიმართა ქედის რაიონული პარტიული კონფერენცია.

საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომის პირველ მდივნად პარტიის ახლად არჩეულ რაიკომის პირველმა პლენუმმა აირჩია **მ. ა. მახარაძე,** მეორე მდივნად — **თ. ჭ. გოგიაშვილი,** მდივნად — **დ. რ. თურმანიძე.**

* * *

გაიმართა ქობულეთის რაიონული პარტიული კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **შ. რ. მესხიძე,** მეორე მდივნად — **ა. ა. ბეგანიძე,** მდივნად — **გ. ი. ბახილაძე.**

* * *

გაიმართა ლაგოდეხის რაიონული პარტიული კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველ პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **ნ. ა. ხატიაშვილი,** მეორე მდივნად — **ბ. ა. ლომიძე,** მდივნად — **თ. მ. მაისურაძე.**

* * *

გაიმართა ლენინგორის რაიონული პარტიული კონფერენცია.

საქართველოს კომპარტიის ლენინგორის რაიკომის პირველ მდივნად პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა აირჩია **გ. ვ. ქუმსიშვილი,** მეორე მდივნად არჩეულია **მ. ზ. ხუბაევა,** მდივნად — **ვ. მ. გიგაური.**

* * *

გაიმართა მაიაკოვსკის რაიონული პარტიული კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველ პლენუმზე საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **გ. პ. ნოზაძე,** მეორე მდივნად — **რ. ხ. კბილაშვილი,** მდივნად — **ც. მ. კბილაშვილი.**

* * *

გაიმართა საგარეჯოს რაიონული პარტიული კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **მ. ზ. მეზვრიშვილი,** მეორე მდივნად — **ნ. ნ. გურჯიძე,** მდივნად — **ვ. გ. მარხვაშვილი.**

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ სამხედრო კომისრის ბრძანება

№ [illegible]

2 დეკემბერი ქ. თბილისი

გასაწვევ პუნქტებზე მოქალაქეთა მიწერის შესახებ

პარაგრაფი 1

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის საფუძველზე, 1984 წლის იანვარ-მარტში წარმოებს 1967 წელს დაბადებულ მოქალაქეთა მიწერა საქართველოს სსრ გასაწვევ პუნქტებზე.

პარაგრაფი 2

მიწერისათვის გამოცხადება ექვემდებარება 1967 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში დაბადებულ ყველა მოქალაქეს, რომლებიც მუდმივად ან დროებით ცხოვრობენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, აგრეთვე უფროსი ასაკის მოქალაქეებს, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ გაუვლიათ მიწერა გასაწვევ პუნქტებზე.

პარაგრაფი 3

ყველა მოქალაქე, რომელიც ექვემდებარება მიწერას გასაწვევ პუნქტებზე, მოვალეა გამოცხადდეს რაიონულ (საქალაქო) სამხედრო კომისარიატებში, მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაიონული სამხედრო კომისარიატების ბრძანებაში, ან მათ მიერ მიღებულ პერსონალურ უწყებაში აღნიშნულ ვადებში.

პარაგრაფი 4

საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სასწავლებლების ხელმძღვანელები მოვალენი არიან გასაწვევ პუნქტებზე მისაწერად გაათავისუფლონ მოქალაქენი მუშაობისაგან (სწავლისაგან) მიწერისათვის საჭირო დროით და უზრუნველყონ მათი დროული გამოცხადება რაიონულ სამხედრო კომისარიატებში.

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი, (გენერალ-მაიორი

ლ. შარაშენიძე.

უკმარისობის გრძნობა

დეგები, რა იყო წარმატებებისა და ნაკლოვანებების ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, რა რეზერვები დარჩა გამოუყენებელი და კიდევ რა რეზერვების გამოძებნა შეიძლება, რომელთა მაქსიმალური ამოქმედებაც რეალურ შესაძლებლობას მისცემთ ჭეშმარიტი საქმით უპასუხონ სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების მიზანდასახულობებს.

პარტიის რაიკომის საანგარიშო მოხსენებამ, რომლითაც რაიკომის პირველი მდივანი ი. მოლაშვილი გამოვიდა, კამათის მონაწილე 22 დელეგატმა ამომწურავი პასუხი გასცეს და კონკრეტული ფაქტებით, ციფრებით მაგალითებით აჩვენეს წარმატებების და წარუმატებლობის მიზეზები.

სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის პარტიის რაიონული ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის შეფასებისას აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა აღემატება წინა 20 წელიწადში ერთად აღებულს. ამ ხნის მანძილზე რაიონში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ექვსი საშუალო და ერთი რვაწლიანი სკოლა, რვა ტიპიური საბავშვო ბაღი, ორი საექიმო ამბულატორია, ოთხმოცდაათსაწოლიანი რაიონული საავადმყოფოს ახალი კორპუსი. დამთავრების სტადიაშია სამშობიარო სახლი, წლის ბოლოს საექსპლოატაციოდ გადაეცემა ოთხი სასოფლო კლუბი, სოფელ შილდის გაზსადენი, ორი წყალსადენი, ყვარელში მწყობრში ჩადგა ორიათასნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური, ახალი სატელეფონო სადგურები დამონტაჟდა მთისძირში, ბალოჯანში, ენისელში, საბუეში, სამასოფლო საბჭოში აშენდა ადმინისტრაციული შენობები, ქალაქად და სოფლად შავი საფარით დაიფარა 20 კილომეტრი სიგრძის გზა, აიგო სამი საცხოვრებელი სახლი 7366 კვადრატული მეტრი ფართობით და სხვა.

სამრეწველო საწარმოების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოშვებული სასაქონლო პროდუქციის მოცულობა წინა შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 2,7-ჯერ, რაიონის მრეწველობის ფლაგმანის „ქინძმარაულის“ ღვინის ქარხანათა გაერთიანების სიმძლავრემ 15,0 ათას ტონას მიაღწია.

შეიქმნა აგროსამრეწველო გაერთიანების დამხმარე საწარმოთა კომბინატი, ხოლო აღგილობრივი მრეწველობის კომბინატმა გახსნა სამკერვალო საამქროები ახალსოფელსა და შილდაში. 35 პროცენტით გაიზარდა რაიკოოპერატივის საწარმოთა სიმძლავრეები. მაგრამ მიმდინარე წელს აქ მრეწველობის მიერ გეგმის შესრულება მაინც საფრთხეშია. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე რაიონში აგდილი არ ჰქონია სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმის შეუსრულებლობას, წინასწარი გაანგარიშებით ახლა მოსალოდნელია დიდი გარღვევა. დელეგატები შეშფოთებით ლაპარაკობდნენ, რომ მარტო „ქინძმარაულის“ ღვინის ქარხანათა საწარმოო გაერთიანებას, რომელზედაც რაიონის სამრეწველო პროდუქციის მთელი მოცულობის 94 პროცენტი მოდის, წლეულს ყურძნის საშემდგომო თავთავიანი კულტურები, მათ შორის 2220 ჰექტარზე სამარცვლედ, დანარჩენი კი პირუტყვის საძოვრად. პარტიული კონფერენციის წინადღეებში 10.600 ჰექტარი ვენახიდან 9800 ჰექტარზე უკვე დამუშავებული ჰქონდათ რეგიონშორისები, 7000 ჰექტარზე შეიტანეს მინერალური და ორგანული სასუქები, ვაზის ძირები 2000 ჰექტარზე გამოთიხლეს. ერთი სიტყვით, ყვარლის რაიონის მშრომელები აქედანვე უყრიან საფუძველს მეთრამეტე ხუთწლედის მეოთხე წლის უხვ მოსავალს. სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის კარგად ირჯებიან სხვა დარგებიც.

და აი, ამ დაძაბული შრომის დღეებში რაიონის ცენტრი გულთბილად შეხვდა პარტიული კონფერენციის დელეგატებს, 2558-კაციანი არმიის რიგიულები აქ მოვიდნენ ერთი მიზნით — განეხილათ ყველაზე უფრო აქტუალური საკითხი: როგორი იყო წინა კონფერენციაზე მიღებული. გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის 3 წლის მანძილზე გაწეული შრომის შედეგები, ხოლო აღგილობრივი მრეწველობის კომბინატმა გახსნა სამკერვალო საამქროები ახალსოფლასა და შილდაში. 35 პროცენტით გაიზარდა რაიკოოპერატივის საწარმოთა სიმძლავრეები. მაგრამ მიმდინარე წელს აქ მრეწველობის მიერ გეგმის შესრულებულია 86,6 პროცენტით. მოკამათეებმა ილაპარაკეს საოჯახო იჯარის წესის ეფექტიანობაზე, — დაასახელეს მთისძირის სანერგე მეურნეობის, გავაზის და შილდის კოლმეურნეობების, საბუის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მიერ ამ წესის სწორად გამოყენების შედეგიანობაზე, რაც გამოიხატება ცუდი ამინდების პირობებშიც კი ყურძნის მაღალი მოსავლიანობის მიღებით. კონფერენციაზე მკაცრად გააკრიტიკეს ყვარლისა და ენისლის მევენახეობის, ახალსოფლის სანერგე საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც შესაბამისად ჰექტარზე საშუალოდ 21, 19 და 13 ცენტნერი ყურძენი ძლივს მოიწიეს. დელეგატებმა საამაყოოზე გამოიტანეს ყველა ის ნაკლი, რამაც განაპირობა ასეთი წარუმატებლობა. მაგალითად, რაიონში ჯერ კიდევ დიდია ვენახების მეჩხერიანობა, სწორედ ამ მიზეზითაც არის, რომ აკლიათ 2060 ჰექტარი ვენახი. ბევრგან დაბალია შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის დონე, კაცდღეებს საშუალო როდენობა მევენახეობაში არ აღემატება 160-170-ს, სავალდებულო მინიმუმი გამომუშავებული არა აქვთ შრომისუნარიანი მუშახელის 20-25 პროცენტს, 10 პროცენტი კი საერთოდ თავს არიდებს შრომას, სამუშაო დროის დანაკარგები მევენახეობაში 30 პროცენტია. ვეტერანმა კომუნისტმა, სოციალისტური შრომის გმირმა მიხეილ მარ-

პარტიული კომიტეტების პლენუმები

ლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ **ზ. ა. ჩხეიძემ.**

* * *

გაიმართა ბათუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული საქალაქო კომიტეტის პირველმა პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია **ლ. მ. გოლეაძე,** მეორე მდივნად — **თ. ს. ხახვა,** მდივნად — **ნ. მ. დუმბაძე.**

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. რ. პაპუნიძემ.**

* * *

გაიმართა ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის პარტიული კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველ პლენუმზე პარტიის ქალაქ თბილისის საქარხნო რაიკომის პირველ მდივნად აირჩეულ **კ. ვ. კაპანაძე,** მეორე მდივნად — **ვ. მ. ოგოროდოვი,** მდივნად — **გ. ე. ქათამაძე.**

* * *

გაიმართა ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პარტიული კონფერენცია.

პარტიის ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივნად პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პლენუმმა აირჩია **ნ. ი. ლაღიძე.** მეორე მდივნად არჩეულია **გ. მ. თალაკვაძე,** მდივნად — **მ. ვ. ვადაჭკორია.**

* * *

გაიმართა ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის პარტიული კონფერენცია.

პარტიის ახლად არჩეული რაიკომის პირველმა პლენუმმა პარ-

საქართველოს სსრ სამხედრო კომისრის ბრძანება

№ [illegible]

2 დეკემბერი ქ. თბილისი

გასაწვევ პუნქტებზე მოქალაქეთა მიწერის შესახებ

პარაგრაფი 1

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის საფუძველზე, 1984 წლის იანვარ-მარტში წარმოებს 1967 წელს დაბადებულ მოქალაქეთა მიწერა საქართველოს სსრ გასაწვევ პუნქტებზე.

პარაგრაფი 2

მიწერისათვის გამოცხადება ექვემდებარება 1967 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში დაბადებულ ყველა მოქალაქეს, რომლებიც მუდმივად ან დროებით ცხოვრობენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, აგრეთვე უფროსი ასაკის მოქალაქეებს, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ გაუვლიათ მიწერა გასაწვევ პუნქტებზე.

პარაგრაფი 3

ყველა მოქალაქე, რომელიც ექვემდებარება მიწერას გასაწვევ პუნქტებზე, მოვალეა გამოცხადდეს რაიონულ (საქალაქო) სამხედრო კომისარიატებში, მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაიონული სამხედრო კომისარიატების ბრძანებაში, ან მათ მიერ მიღებულ პერსონალურ უწყებაში აღნიშნულ ვადებში.

პარაგრაფი 4

საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სასწავლებლების ხელმძღვანელები მოვალენი არიან გასაწვევ პუნქტებზე მისაწერად გაათავისუფლონ მოქალაქენი მუშაობისაგან (სწავლისაგან) მიწერისათვის საჭირო დროით და უზრუნველყონ მათი დროული გამოცხადება რაიონულ სამხედრო კომისარიატებში.

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი, (გენერალ-მაიორი

ლ. შარაშენიძე.

12 დეკემბერი

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები საკლესიო იუწყება

● ინგლისი

პროტესტის ეროვნული დღე

გრინემ-კომონი (ბერკშირის საგრაფო). ინგლისის ომის საწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილეებმა მოაწყვეს პროტესტის ეროვნული დღე დიდ ბრიტანეთში ამერიკული ფრთოსანი რაკეტების განლაგების წინააღმდეგ. ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული ათიათასობით მშვიდობისათვის მებრძოლი შეეკრიბა მასობრივ მანიფესტაციაზე გრინემ-კომონის სამხედრო ბაზასთან.

ხელიხელჩაკიდებული მშვიდობის მომხრეები გარს შემოერტყნენ სამხედრო ბაზას, სადაც ახლა მიმდინარეობს შეერთებული შტატებიდან გიგანტური სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით ჩამოტანილი „ფრთოსანი რაკეტების“ პირველი პარტიების დისლოკაციის სამუშაოები. „არ გვინდა ფრთოსანი სიკვდილი!“, „ჩვენ გვეპირდება მშვიდობა, და არა ომი!“, „შეეგებეროთ ბირთვული უგუნურება“ — ერთხმად გაიძახოდნენ მანიფესტანტები. „ჩვენ ის თაობა ვართ, ვინც უკვე გადაიტანა ერთი მსოფლიო ომი და ამიტომ არ გვსურს მისი განმეორება უფრო საშინელი მასშტაბით“, — განაცხადა საკადესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში „მშვიდობისათვის მებრძოლ პენსიონერთა“ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელმა, შოტლანდიელმა კ. ჰემფრისმა.

„თითოეული პირადად უნდა აგებდეს პასუხს იმისათვის, რომ მსოფლიოში არ გაჩაღდეს ბირთვული ომის ცეცხლი. ის, რომ დასავლეთ ევროპაში დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგება, კიდევ ერთი უკიდურესად სახიფათო ნაბიჯია ბირთვული უფსკრულისაკენ, — აღნიშნა 24 წლის სტუდენტმა მ. გარნერმა. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია და მ. ტეტჩერის მთავრობა ცდილობს თავისი სამარი მზადება „დასაბუთოს“ აღვირახსნილი ანტისაბჭოთა ისტერიის გაძლიერებით. „მაგრამ ჩვენ, უბრალო ინგლისელები მტრულად არ ვეკიდებით საბჭოთა ადამიანებს და გვსურს მათთან ერთად ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის და ვიცხოვროთ მშვიდობიანად“, — ხაზი გაუსვა მან.

ბაზის „დამატებითი დაცვის“ უზრუნველყოფის მიზნით და მანიფესტაციის მონაწილეთა დასაშინებლად ხელისუფლებამ გრინემ-კომონში თავი მოუყარეს მოტორიზებული, ცხენოსანთა და ქვეითი პოლიციის, შოდესანტ-პარაშუტისტთა დიდ რაზმებს. გამოსვლის ათობით მონაწილე დააპატიმრეს.

ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები მოეწყო აგრეთვე შოტლანდიაში, უელსში და ქვეყნის სხვა ნაწილებსა და რაიონებში.

● კუვეიტი

აფეთქება საელჩოში

კუვეიტი. ძლიერი აფეთქება მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების კუვეიტის საელჩოს ტერიტორიაზე.

როგორც კუნას საააგენტო იუწყება, აფეთქების შედეგად დაინგრა საელჩოს შენობის ნაწილი, გაჩნდა ხანძარი, არის მსხვერპლი.

ამავე დროს, იუწყება საააგენტო, აფეთქება მოხდა კუვეიტის საერთაშორისო აეროპორტის ფრენის მართვის კოშკში. ერთი კაცი დაიღუპა, არიან დაჭრილები.

● ეგვიპტე

ეროვნული ერთიანობა

**ალექსანდრია. ეგვიპტის ეროვნული ერთიანობის ორგანიზაციის ალექსანდრიის ფილიალის ინიციატივით ალექსანდრიაში ეროვნული ერთიანობის ორგანიზაციის ფილიალებისა და ალექსანდრიის ეროვნული ბიბლიოთეკ

მაესების კონტროლით

ხალხის ფხიზელი თვალი

გვერდი № 193

დისციპლინა, წესრიგი საქმის წარმატების საწინდარია

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მორიგ სხდომაზე იმსჯელა რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის გაწეული მუშაობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტთან ერთად შემოწმებაში რესპუბლიკის შრომის სახელმწიფო კომიტეტიც მონაწილეობდა. დადგინდა, რომ გარკვეული მუშაობის მიუხედავად, ამ საქმეში კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები.

მაგალითად, სამინისტროს სისტემაში ჯერ კიდევ დიდია არასაპატიო მიზეზებით სამუშაო დროის დანაკარგები, გაცდენები, გამოუცხადებლობა ადმინისტრაციის ნებართვით, მთელი დღისა და ცვლისშიგა მოცდენები, რაც 1983 წლის პირველი ნახევარში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა და 25,3 ათასი კაცდღე შეადგინა, ეს კი ერთ მუშაზე 1,42 კაცდღეა, მაშინ როდესაც საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებელი 1,02 კაცდღეს შეადგენს.

კიდევ უფრო ცუდია ეს მაჩვენებლები შემოწმებულ საწარმოებში: გაგრის უალკოჰოლო სასმელების ქარხანაში — 39,7 კაცდღე, საწარმოო გაერთიანება „აფხაზპურში“ — 2,72 კაცდღე, სოხუმის თამბაქოს ფაბრიკაში — 1,95 კაცდღე, საწარმოო გაერთიანება „ბორჯომში“ — 1,9 კაცდღე და სხვა. ანალოგიური მდგომარეობა იყო 1982 წელსაც.

სამინისტროს სისტემაში შრომის დისციპლინის დაცვის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს მოწმობს ის ფაქტიც, რომ 1982 წელს ყოველ 100 მუშაკიდან სამუშაოს აცდენდა საშუალოდ 15 მუშაკი. 1983 წლის პირველ ნახევარში — 7, ხოლო ზოგიერთ საწარმოში — 30-მდე მუშაკი.

სერიოზული ნაკლოვანებებია შრომის დისციპლინის საკითხების გამო აღრიცხვისა და ანგარიშების მოწესრიგების საქმეში. არის სტატისტიკური და ზემდგომ ორგანოებში დამახინჯებული მონაცემების წარმოდგენის ფაქტები.

მაგალითად, 1983 წლის პირველ ნახევარში 43 საწარმომ (63,2 პროცენტი) საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს № 77-მრეწვ. და № 2-ტ ფორმებით ერთი და იგივე მაჩვენებლების სხვადასხვა მონაცემები წარმოადგინა, რის შედეგად შეუძლებელია საქმის მდგომარეობის რეალური სურათის დადგენა.

გარდა ამისა, 9 შემოწმებული საწარმოდან 6-ში გამოვლინდა არასაპატიო მიზეზებით სამუშაო დროის 1293 კაცდღის დანაკარგების მიჩქმალვის ფაქტები.

შემოწმებამ აგრეთვე დაგვანახვა, რომ ზოგიერთ საწარმოში არადამაკმაყოფილებლად გამოიყენება საწარმოო სიმძლავრეები, უშვებენ ზედმეტ საათებში შრომას, იზრდება მუშების დენაღობა და ირღვევა საშტატო დისციპლინა.

უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები ვერ უზრუნველყოფენ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის 1983 წლის 18 მარტის დადგენილების შესრულებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნათა მიხედვით შრომის დისციპლინის განმტკიცების, კონტროლის გაძლიერების ნაწილში და ყოველთვის პრინციპულ შეფასებას არ აძლევენ შრომის დისციპლინის დარღვევათა ფაქტებს.

მიღებულ დადგენილებაში საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობის ყურადღება მიაპყრო დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის დისციპლინის განმტკიცების და ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის თაობაზე პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესრულების უზრუნველყოფისათვის მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას.

საწარმოო გაერთიანება „აფხაზპურის“ გენერალური დირექტორი ა. არჯენია, საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ გენერალური დირექტორი ქ. ხარისჩირაშვილი, გაგრის უალკოჰოლო სასმელების ქარხნის დირექტორი დ. ძაძბა მკაცრად გააფრთხილეს შრომის დისციპლინის განმტკიცების და საანგარიშგებო მონაცემების დამახინჯების ფაქტების დაშვების გამო.

შრომის დისციპლინის განმტკიცების თაობაზე პარტიისა და მთავრობის მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების მიღებლობის და წარმოების ხარჯზე სამმართველო პერსონალის შენახვის დაშვებისათვის სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის დირექტორს ზ. მამარდაშვილს გამოეცხადა საყვედური.

ქ. ხარისჩირაშვილს, ა. არჯენიას, დ. ძაძბას, ზ. მამარდაშვილს დაევალათ ინფორმაციები გააკეთონ მშრომელთა კოლექტივების კრებებზე ამ შემოწმების შედეგების, აგრეთვე გამოვლენილ დარღვევათა აღმოფხვრისათვის გეგმის შესაბამისად ხუთშწლედის ბოლოს მეჩხერინობა დაკვიდირებული იქნება.

როდინოლის საბჭოთა მეურნეობას არ ჰყოფნიდა და ყოველწლიურად იძენდა პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის საჭირო საკვების 40-50 პროცენტს. სახალხო კონტროლის მეთაურმა ჯგუფმა შეისწავლა უზეში საკვების წარმოების გადიდების შესაძლებლობანი და წინადადება შეტანა მეურნეობის დირექციაში. საკითხი ძირითადად შეეხებოდა 70 ჰექტარი უვარგისი მიწების გაკულტურებას, რასაც კონტროლიორი ტრაქტორისტები კისრულობდნენ. წინადადება განიხილა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ და იგი განხორციელდა. მეურნეობას ახლა აქვს ზამთრისათვის უხეში საკვების საკმაო მარაგი, მის შეძენაზე დაიხარჯა 25.000 მანეთზე მეტი.

უფრო კონკრეტული და ეფექტიანი გახდა სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის, ჯგუფებისა და საგუშაგოების მიერ გატარებული ღონისძიებები ნედლეულის, სამეურნეო-ეკონომიკური და სხვა მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის.

სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფები, როგორც წესი, მომდევნო თვის 10 რიცხვიდან ინფორმაციას აწვდიან სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტს ნედლეულის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, ბენზინის, დიზელის საწვავის ეკონომიისათვის გაწეული მუშაობის შედეგებზე, რომელსაც აანალიზებს რაიონული კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის შტატგარეშე. განყოფილებასთან არსებული სპეციალური სექტორი. გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და დარღვევების მიხედვით ხდება საჭირო რეაგირება.

უყაირათობის, სხვადასხვა რესურსების არარაციონალური გამოყენებისათვის დაისჯნენ მეორე სვირის და ცხრაწყაროს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სამშენებლო ორგანიზაცია „გორემ-24“-ის სამკერვალო ფაბრიკის, კვალითის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები და სხვა მუშაკები.

მომდინარე წლის პირველ რვა თვეში რაიონის საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა დაზოგეს 9 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 7.000 ტონა სხვადასხვა ნედლეული, 3500 ტონა პირობითი საწვავი.

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა, ჯგუფებმა და საგუშაგოებმა გააქტიურეს მუშაობა საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენებისათვის, ძირითადი ფონდების სრული და რაციონალური ათვისებისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ელექტროელემენტების ქარხანაში საროტორო ხაზები დიდი შეფერხებებით მუშაობდა. ამის მიზეზად ჩაეთვალა ელექტროლიტის ნაკლებობა. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ეს ნედლეული ადგილობრივ ბაზაზე ადგილობრივ ბაზაზე ადგილობრივ ბაზაზე ადგილობრივ ბაზაზე ადგილობრივ ბაზაზე ადგილობრივ ბაზაზე ადგილობრივ ბაზაზე ადგილობრივ ბაზაზე ადგილობრივ ბაზაზე ადგილ

გამოცდილება

გამო საწარმოო სიმძლავრეების 80-85 პროცენტი იყო გამოყენებული. ჯგუფმა შეისწავლა ეს საკითხი და ადმინისტრაციას შესთავაზა მთლიანად შეცვლილიყო სათადარიგო ნაწილების დამზადების ტექნოლოგია, მიღებული ზომების შედეგად საწარმოო სიმძლავრეების 99 პროცენტი აამოქმედეს.

სამრეწველო საწარმოებმა მთლიანი პროდუქციის გამოშვების რვა თვის დავალება შეასრულეს 102,6 პროცენტით, რეალიზაციისა — 101,8 პროცენტით, წარმოების მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 0,7 პროცენტით. უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი სასაქონლო პროდუქციის საერთო მოცულობაში შეადგენს 32 პროცენტს.

გააქტიურდა სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის, ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობა წამატებებისა და თვალის ახვევის ფაქტების გამოსავლენად. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ამ საქმეში პროფილაქტიკური მუშაობა, რამაც გარკვეული შედეგი მოგვცა. თუ შარშან თითქმის ყველა შემოწ-

რეგიონალური

მიღებული დადგენილება

ეფექტიანი გახდა სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის, ჯგუფებისა და საგუშაგოების მიერ გატარებული ღონისძიებები ნედლეულის, სამეურნეო-ეკონომიკური და სხვა მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის.

სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფები, როგორც წესი, მომდევნო თვის 10 რიცხვიდან ინფორმაციას აწვდიან სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტს ნედლეულის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, ბენზინის, დიზელის საწვავის ეკონომიისათვის გაწეული მუშაობის შედეგებზე, რომელსაც აანალიზებს რაიონული კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის შტატგარეშე. განყოფილებასთან არსებული სპეციალური სექტორი. გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და დარღვევების მიხედვით ხდება საჭირო რეაგირება.

უყაირათობის, სხვადასხვა რესურსების არარაციონალური გამოყენებისათვის დაისჯნენ მეორე სვირის და ცხრაწყაროს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სამშენებლო ორგანიზაცია „გორემ-24“-ის სამკერვალო ფაბრიკის, კვალითის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები და სხვა მუშაკები.

მომდინარე წლის პირველ რვა თვეში რაიონის საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა დაზოგეს 9 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 7.000 ტონა სხვადასხვა ნედლეული, 3500 ტონა პირობითი საწვავი.

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა, ჯგუფებმა და საგუშაგოებმა გააქტიურეს მუშაობა საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენებისათვის, ძირითადი ფონდების სრული და რაციონალური ათვისებისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ელექტროელემენტების ქარხანაში საროტორო ხაზები დიდი შეფერხებებით მუშაობდა. ამის

ინიციატივით

ნედლეულის, მასალებისა და ელექტროენერგიის დაზოგვისათვის დიდ მუშაობას ეწევა გელათის ტრანსფორმატორების ქარხნის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის მასალებისა და ელექტროენერგიის მომჭირნედ ხარჯვის სექტორი (ხელმძღვანელი თ. მარგველაშვილი).

სექტორის ინიციატივით წლეულს მარტში შემოწმდა სატვიფრო საამქროს ელექტროტექნიკური ფოლადისჭრის უბანი. გამოვლინდა ფოლადის უსამარჯვოდ დაჭრის შემთხვევები, რის გამოც ჯართად იყრებოდა დიდძალი მასალა. ამ გარემოებაზე იმსჯელა ჯგუფის კრებამ, მიღებულ ღონისძიებებს დადებითი შედეგი მოჰყვა.

ამავე სექტორის წევრებმა ივნისსა და ოქტომბერში სახალხო კონტროლიორთა კრებაზე აღძრეს საკითხები, რომელთა გადაწყვეტა მასალებისა და ელექტროენერგიის ეკონომიას იძლეოდა.

სახალხო კონტროლიორთა წინადადებით ქარხნის დირექციამ დიდი სიმძლავრის სატვიფრი წნეხები უფრო დაბალი სიმძლავრის ელექტროძრავიანი წნეხებით შეცვალა და ელექტროენერგიის ეკონომიას მიაღწია.

სექტორის წევრების აქტიური ჩარევით მოწესრიგდა აგრეთვე შემდეგი საკითხები: დეტალების თერმული დამუშავება. იგი მიმდინარეობდა 2 ცვლაში. ერთ ცვლაში დეტალის დამუშავების შედეგად საგრძნობლად გამოთავისუფლდა 12 კვადრატული მეტრი სიმძლავრის ელექტროღუმელი. ასევე კუმშვად ჰაერზე მომუშავე წნეხების რეგულირებამაც სანახევროდ გამოანთავისუფლა 125 კვადრატული მეტრი სიმძლავრის ელექტროძრავიანი კომპრესორი.

საწვავ-საპოხი მასალების მომჭირნედ ხარჯვის მიზნით კონტროლი დაუწესდა ავტოტრანსპორტის გამოყენების კოეფიციენტის ამაღლებას. აღარ არის უქმი გარბენები, მკაცრი კონტროლია დაწესებული ავტოტრანსპორტის საგზურების სწორი, ხარისხიანი შევსებისადმი.

სახალხო კონტროლიორთა მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ქარხანაში დაზოგა 16,6 ტონა შავი ლითონი, 5,2 ტონა დასახვევი გამტარი, 19 კუბური მეტრი ხის მასალა, 1,8 ტონა ბენზინი, 50 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. წლის ბოლომდე ეკონომია უფრო თვალსაჩინო იქნება.

ვ. ფანცხავა,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი.

რუსთავის ამწესაშენებელი ქარხნის „მომჭირნეთა ყულაბა“ გამოუდგენია ივნება. ახლა მასში 460 ტონა შავი ლითონია. ამ დღეებში მომხმარებელს გაეგზავნა მეორე კოშკური ამწე, რომელიც აგებულია დაზოგილი ნედლეულით. ამწემშენებლებმა პირობა დადეს, რომ წლის დამლევამდე დაზოგილი პროდუქციით ააგებენ კიდევ ერთ ამწეს.

სახალხო კონტროლიორთა ინიციატივით ქარხანაში იყენებენ ლითონის გამოჭრის რაციონალურ მეთოდს, ეს კი ნიშნავს, რომ მისი ყოველი სანტიმეტრი „საქმეს“ ხმარდება.

საზოგადოებრივი კონტროლიორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, მათ მონდომებას მხარს უჭერს მთელი კოლექტივი. მარტო მიმდინარე წლის დამდეგიდან ქარხანაში დაზოგეს 120 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 18 ტონა პირობითი სათბობი.

სურათზე: სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე, ინჟინერ-კონსტრუქტორი ვლადიმერ სლასტიონოვი (მარჯვნივ), საზოგადოებრივი კონტროლიორი, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის მოადგილე ვალენტინა მაჭარაშვილი და სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე, ქარხნის საგეგმო განყოფილების უფროსი ფირუზ ღუღუნიშვილი მორიგი რეიდის დროს.

ვ. ბორბუნოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბოლოს სრულდება

შარშან დეკემბერში საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა, თუ როგორ იბრძვის ზესტაფონის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტისათვის მიცემული დავალების შესასრულებლად. მაშინ აღინიშნა, რომ გარკვეულ მიღწევებთან ერთად კომიტეტის, ჯგუფების, საგუშაგოების მუშაობაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია, რომელთა გამოსასწორებლად უნდა დარაზმულიყო რაიონის ყველა სახალხო კონტროლიორი.

შეიძლება ითქვას, რომ ზესტაფონის სახალხო კონტროლის კომიტეტის მუშაკებმა, თითოეულმა კონტროლიორმა კარგად გაიგო, თუ რას მოითხოვდნენ მათგან, როგორ უნდა წარემართათ მუშაობა.

გასულ იანვარში ამ ამოცანების შესახებ ფართო მსჯელობა გაიმართა სახალხო კონტროლის რაიონულ აქტივზე. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები, რის შედეგადაც უფრო ორგანიზებული, სისტემური ხასიათი მიეცა სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის, ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობას შემდეგი ძირითადი მიმართულებების მიხედვით: — კონტროლი რეზერვების გამოვლინებისადმი, რომლებიც შეიძლება მოექცეს სასურსათო რესურსების ბალანსში; სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების ეკონომიისადმი კონტროლის გაძლიერება; საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენებისადმი კონტროლი; — ბრძოლა წამატებებისა და თვალის ახვევის წინააღმდეგ; ზესტაფონის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა დააკონკრეტა აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ჯგუფებისა და საგუშაგოების ამოცანები სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედებისათვის. წლიურ, პერსპექტიულ და კვარტალურ სამუშაო გეგმაში გაითვალისწინეს საკითხები, რომელთა შესწავლამ და განხილვამ ცალკეული საზოგადოებრივი მეურნეობების მაგალითზე ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულებებით მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას. ეს გახლავთ ორგანული და მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების დიდეფექტიანი გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მაღალ აგროტექნიკურ დონეზე და აგროვადებში ჩატარება, ვაზის მეჩხერინობის სალიკვიდაციო ღონისძიებები, მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლის, შენახვის და გამოყენების, მოსავლის უდანაკარგოდ აღების ორგანიზაციისა და სხვა საკითხები.

მას შემდეგ რაიონულმა კომიტეტმა, ჯგუფებმა და საგუშაგოებმა სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან ერთად ამ საკითხებზე 80-ზე მეტი შემოწმება მოაწყვეს. ბევრი შემოწმების შედეგები თვით სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა განიხილა, ორი საკითხი შეიტანა პარტიის რაიკომის ბიუროზე განსახილველად, ხოლო სამი შემოწმების შედეგებზე იმსჯელა რაიონული საბჭოს აღმასკომმა.

ყურძნის მოსავლიანობის გადიდების მთავარი რეზერვის სრულად ამოქმედებისათვის როგორც კომიტეტმა, ასევე ჯგუფებმა და საგუშაგოებმა სისტემატური კონტროლი გაუწიეს ვაზის მეჩხერიანობის სალიკვიდაციო ღონისძიების დაჩქარებული ტემპით განხორციელებას. მომდინარე წლის გაზაფხულზე გამორგვით, გადაწვენით და გადახეივნებით საზოგადოებრივ ზვრებში შეიცვლა 260 000 მოცდენილი ადგილი; რაც 80-მდე ჰექტარი ახალი ვენახის ტოლფასია. ამ ღონისძიებით ვაზის მეჩხერიანობა საზოგადოებრივ ზვრებში 1980 წლის 15 პროცენტიდან 8 პროცენტამდე შემცირდა. მაგალითად, კლდეეთის, ტაბაკინის, ფუთის საზოგადოებრივ მეურნეობებში მეჩხერიანობა მინიმუმამდე დაიყვანეს. 1985 წლისათვის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მიერ გასტარებელ ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად ხუთშწლედის ბოლოს მეჩხერიანობა დაკვიდირებული იქნება.

როდინოლის საბჭოთა მეურნეობას არ ჰყოფნიდა და ყოველწლიურად იძენდა პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის საჭირო საკვების 40-50 პროცენტს. სახალხო კონტროლის მეთაურმა ჯგუფმა შეისწავლა უხეში საკვების წარმოების გადიდების შესაძლებლობანი და წინადადება შეტანა მეურნეობის დირექციაში. საკითხი ძირითადად შეეხებოდა 70 ჰექტარი უვარგისი მიწების გაკულტურებას, რასაც კონტროლიორი ტრაქტორისტები კისრულობდნენ. წინადადება განიხილა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ და იგი განხორციელდა. მეურნეობას ახლა აქვს ზამთრისათვის უხეში საკვების საკმაო მარაგი, მის შეძენაზე დაიხარჯა 25.000 მანეთზე მეტი.

უფრო კონკრეტული და ეფექტიანი გახდა სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის, ჯგუფებისა და საგუშაგოების მიერ გატარებული ღონისძიებები ნედლეულის, სამეურნეო-ეკონომიკური და სხვა მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის.

სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფები, როგორც წესი, მომდევნო თვის 10 რიცხვიდან ინფორმაციას აწვდიან სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტს ნედლეულის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, ბენზინის, დიზელის საწვავის ეკონომიისათვის გაწეული მუშაობის შედეგებზე, რომელსაც აანალიზებს რაიონული კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის შტატგარეშე. განყოფილებასთან არსებული სპეციალური სექტორი. გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და დარღვევების მიხედვით ხდება საჭირო რეაგირება.

უყაირათობის, სხვადასხვა რესურსების არარაციონალური გამოყენებისათვის დაისჯნენ მეორე სვირის და ცხრაწყაროს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სამშენებლო ორგანიზაცია „გორემ-24“-ის სამკერვალო ფაბრიკის, კვალითის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები და სხვა მუშაკები.

მომდინარე წლის პირველ რვა თვეში რაიონის საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა დაზოგეს 9 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 7.000 ტონა სხვადასხვა ნედლეული, 3500 ტონა პირობითი საწვავი.

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა, ჯგუფებმა და საგუშაგოებმა გააქტიურეს მუშაობა საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენებისათვის, ძირითადი ფონდების სრული და რაციონალური ათვისებისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ელექტროელემენტების ქარხანაში საროტორო ხაზები დიდი შეფერხებებით მუშაობდა. ამის მიზეზად ჩაეთვალა ელექტროლიტის ნაკლებობა. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ეს ნედლეული ადგილობრივ ბაზაზე ადგილობრივ ბაზაზე ადგილობრივ ბაზაზე ადგილობრივ ბაზაზე ადგილობრივ ბაზაზე ადგილობრივ ბაზაზე ადგილობრივ ბაზაზე ადგილობრივ ბაზაზე ადგილ

ზოგჟირნეობის საგუშაგოზე

13 დეკემბერი, 1983 წ.

კომუნისტი 3

გულმართალი მსახიობი

ქართული სცენის შესანიშნავ ოსტატს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს მერაბ ხინიკაძეს 70 წელი შეუსრულდა. ეს თარიღი კარგად ახსოვთ მის მეგობრებსა და კოლეგებს, მაგრამ თეატრალურ ხელოვნებაში სხვა თარიღიც არის მონიშნული — მ. ხინიკაძის შემოქმედებითი გზის დასაწყისი.

საქმე ის გახლავთ, რომ 1937 წლის 18 მარტს, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 16 წლისთავზე გაიხსნა ახალი პროფესიული ქართული თეატრი, რომლის ერთ-ერთი მესაძირკვლე მერაბ ხინიკაძე გახლდათ.

ეს საქმე დიდი, კეთილშობილური მისიით დაიწყო. თვით სახდრო ახმეტელმა აჭარაში შეარჩია სამსახიობო ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები და 1932 წელს რუსთაველის თეატრში „აჭარის სტუდია“ შექმნა.

ეს იყო ყველა მსახიობისათვის სანატრელი და საოცნებო სკოლა, რომლის აღზრდილებმაც სახელი მოიხვეჭეს ქართულ სასცენო ხელოვნებაში.

ახლა, თითქმის ნახევარსაუკუნოვანი გზის სიმაღლიდან, ნათლად ჩანს იმათი ღვაწლი და რუდუნება, რომელთა მეშვეობითაც ძალუბდა აჩქეფდა კულტურული ცხოვრება თავისუფალ აჭარაში. მერაბ ხინიკაძის თაობის მსახიობთა შემწეობით ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრი იქცა ახალი, საბჭოური ცხოვრების წესის მატარებელ კოლექტივად, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრების საქმეში.

ეს ის წლები იყო, როცა ბათუმელთა დასს ერთიმეორეზე საინტერესო სპექტაკლები ჰქონდა, როცა თბილისელი მაყურებლიც მოუთმენლად ელოდა მის ყოველ ჩამოსვლას დედაქალაქში. შესანიშნავი რეჟისორების ა. ჩხარტიშვილის, დ. ალექსიძის, ვ. ტაბლიაშვილის, ვ. ყუშიტაშვილის, შ. ინასარიძისა და სხვათა დადგმები გამოირჩეოდა ნოვატორული ხედვით, საინტერესო მიგნებებითა და ოსტატობით.

მ. ხინიკაძე მუდამ იყო რეალისტური ხელოვნების ერთგული, უაღრესად შრომისმოყვარე და მიმნდობი, ამასთან ძალზე გულისხმიერი კოლეგების მიმართ. არასოდეს უთქვამს უარი თუნდაც პატარა როლზე, თუმცა იმთავითვე მოგვეგონა, როგორც თეატრის ერთ-ერთი საიმედო ძალა, მისი ყველა გამარჯვებისა და ტკივილის გამზიარებელი.

150-ზე მეტი როლიდან, რომლებიც მ. ხინიკაძემ შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე განასახიერა, დაუვიწყარია სერგეი — „ბრმაში“, გარსია ლორკა — გ. მდივნის „ალაჯაზარში“, ნაპოლეონი — ა. შარვაშიძის „ბაგრატიონში“, იაგო — „ოტელოში“, მეფე ერეკლე — ლ. გოთუას „მეფე ერეკლეში“, ნეზნამოვი — ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავეებში“, არჩილი — „ოთარაანთ ქვრივში“, ურიელი — გუცკოვის „ურიელ აკოსტაში“. ჰეროიკული როლებიდან უნდა გამოვყოთ მისი ლადო კეცხოველი და კიკვიძე.

კიკვიძის როლს მ. ხინიკაძის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. თვით პიესის ავტორი ვ. დარასელი მსახიობს ასე სწერდა: „ამბობენ შენს კიკვიძეს ჯერჯერობით არ ჰყავს ბადალი. მე შენს მერე კიდევ ვნახე ორი სხვა კიკვიძე, მაგრამ მართლაც რომ შენისთანა კიკვიძე იშვიათია. ჰოდა, მიიღე ჩემი გულწრფელი სალამი და დიდი სიყვარული, როგორც საუკეთესო კიკვიძემ. შენი პატივისცემელი ვანონ დარასელი. 13.II.52 წ. თბილისი“.

საკმარისია ითქვას, რომ ბათუმის თეატრის ყველა საეტაპო სპექტაკლში მ. ხინიკაძე ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა. ჯერ კიდევ თბილისში, სტუდიელთა შორის გახმაურდა ორი ახალგაზრდის ი. კობალაძისა და მ. ხინიკაძის სახელი. მათი უშუალელი, შემოქმედებითი მეგობრობა 1981 წელს დასრულდა, როცა ი. კობალაძე გარდაიცვალა. მანამდე კი სწორედ ეს ორი ადამიანი მთელი 45 წლის მანძილზე ედგა ბურჯად ბათუმის თეატრს.

აქ არ შეუუდგებით მ. ხინიკაძის მიერ განსახიერებული როლების დაწვრილებით განხილვას. ეს უფრო თეატრალური კრიტიკის საქმეა, რომლის ყურადღება იმთავითვე არ მოკლებია მსახიობს. რეცენზენტები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს მისი გმირების კეთილშობილებას, რაინდულ სულსა, და, რაც მთავარია, გარდასახვის უნარს. სამწუხაროდ, კინოფირმა თოფქმის არაფერი შემოგვინახა იმ სპექტაკლებიდან, რომლებშიც მ. ხინიკაძეს უთამაშნია. მხოლოდ მხილველთა მოგონებებსა და ფოტოსურათებს შემორჩა მისი სცენური ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი მომენტები.

მ. ხინიკაძეს თეატრის სცენაზე თავადაც დაუდგამს არაერთი სპექტაკლი, რომლებშიც უმთავრესად ახალგაზრდა, დამწყებ მსახიობს ათამაშებდა. აქ ერთი მეტად საინტერესო ამბავი უნდა გავიხსენოთ. იგი წლების მანძილზე ბათუმის თეატრის დირექტორიც იყო. სწორედ მაშინ გადაწყვიტა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში ბათუმელი ახალგაზრდების ჯგუფის გაგზავნა. ასე რომ, დღეს ჩვენი ქალაქის სცენაზე მის მიერ გზადალოცილი მსახიობებიც თამაშობენ უფროსი კოლეგების გვერდით.

სამოცდაათი წლის ხელოვანი კვლავაც ჩვეული მონდომებითა და სიყვარულით ემსახურება მშობლიურ სცენას. ძველებურად ჯანი აღარ მოსდევს, მაგრამ სცენაზე ისევ ჭაბუკური გზნებით იწვის. ესეც მისეულია, ალბათ, ვინ იცის, მთელ შინაგან ენერგიას სწორედ ამ წუთებისათვის ინახავს. კვლავ ისმის მისი ხავერდოვანი ბარიტონი თეატრის კედლებში, გხიბლავთ საოცარი სიდარბაისლითა და ძველებური უშუალობით.

მ. ხინიკაძის მსახიობური მოღვაწეობა ყოველთვის იყო შერწყმული დიდ საზოგადოებრივ საქმიანობასთან. არ ყოფილა აჭარის კულტურული ცხოვრების არც ერთი უბანი, მას რომ არ მიეღოს აქტიური მონაწილეობა. აკი ამიტომაც დაჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით, აირჩიეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ამბტომაც უყვარს ხალხს და მოუთმენლად ელის მის ყოველ გამოჩენას სცენაზე.

მსახიობის შემოქმედების შემაჯამებელი მისი იუბილეა, როცა სცენაზე ცოცხლდებიან მის მიერ სულჩადგმული, ლამაზი ქართულით ამეტყველებული გმირები და თითქოს ემადლიერებიან იმ ხანგრძლივი სიცოცხლისათვის, რომელიც მათ არგუნა მ. ხინიკაძემ ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის მანძილზე. ქართველი მაყურებელი კი, თავის მხრივ, ეფერება ადამიანს, რომლის ხელოვნებამ არაერთი ბედნიერი წუთი განაცდევინა და თან გამოატანა საკუთარი გულის სითბო და მალე შეხვედრის სურვილი.

ნ. ჯაფარიძე,
გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ განყოფილების გამგე.

სურათზე: რესპუბლიკის სახალხო არტისტი მერაბ ხინიკაძე კიკვიძის როლში სპექტაკლიდან „კიკვიძე“.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ფოტომოთხრობა

გამოცემულობა „საბჭოთა საქართველომ“ ახლახან ახალი ნობათი მოგვმზადა შესანიშნავად გამოცემული ფოტოალბომის სახით, რომელსაც „სვანეთის ცის ქვეშ“ ჰქვია. მისი ავტორები არიან ფოტოჟურნალისტები — უკრაინელი ევგენი დერლემეკო და ედუარდ გიგილაშვილი. ფოტოალბომი, რომლის რედაქტორია მწერალი გ. ფანჯიკიძე, ახლებურად გვაცნობს სვანეთს, მის წარსულსა და აწმყოს.

მაღალხატვრულ დონეზე შესრულებულ ილუსტრაციებს თან ერთვის სტრიქონები პოეტ რევაზ მარგიანის ლექსებიდან, რომელთაც მკითხველი ამაღლებული განწყობით შეჰყავს საქართველოს ამ თვალწარმტაც კუთხეში.

ფოტოალბომის ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე დაწერილი წინასიტყვაობა ორი ნარკვევისაგან შედგება. პირველის ავტორი აკაკი გელოვანი მოგვითხრობს ამ „ათასი კოშკის მხარის“ კულტურასა და ხელოვნებაზე.

მეორე ნარკვევის ავტორი ანელი ვოლსკაია განიხილავს სვანეთში შემონახულ ხელოვნების შედევრებს და, კერძოდ, აღნიშნავს: „შუა საუკუნეების სვანეთის არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ძეგლები... მკაფიოდ მეტყველებენ სვანი ხალხის მდიდარ კულტურულ წარსულზე. სვანეთმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ძველი ქართული ხელოვნების განვითარების საერთო პროცესში. სვანეთის ხელოვნების ზოგი მაღალმხატვრული ძეგლი (მხატვარ თევდორეს მოხატულობანი, მესტიის ჭედური ჯვარი და სხვა), სამართლიანად იკავებენ ადგილს მსოფლიო ხელოვნების საგანძურში“.

ფოტოალბომში ერთმანეთს ენაცვლებიან მაღალოსტატურად აღბეჭდილი კოშკები და ცაცაზიდული მწვერვალები, ჩანჩქერები და ტყეები, დაკლაკნილი გზატკეცილი და მაღალი ძაბვის ანძები, ფიქლით ან ყავრით გადახურული ქვითკირის სახლები და თანამედროვე საცხოვრებელი შენობები, ტურისტები და ადგილობრივი მკვიდრნი.

და ბოლოს, ფოტოალბომის წარმატებას ისიც განაპირობებს, რომ იგი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული და მას სიამოვნებით გაეცნობიან ისინიც, ვისაც საკუთარი თვალით უნახავს სვანეთი, რადგან, დიდი გლაკტიონის თქმისა არ იყოს, სვანეთის ხელახლა ნახვა ისე შეიძლება მოუნდეს კაცს, როგორც კარგი წიგნის ხელახლა წაკითხვა.

გ. მარგიანი,
პროფესორი.

სიყვარულით და მოკრძალებით

გამოცემულობა „ხელოვნებამ“ გამოსცა ჟურნალისტ დიმიტრი ლოლაძის ფოტოალბომი „ვიტალი დარასელია“.

„რამდენი მოასწროო“, იტყვიან ხოლმე ვალმოხდილ ადამიანზე. ძნელია 25 წლისამ ბევრი მოასწროო, მაგრამ ფოტოალბომის გადამფურცლავი ერთხელ კიდევ სინანულით მოიგონებს ვიტალი დარასელიას ნიმსა და გარჯას, ამ ასაკშიც რომ ბევრი შეეძლებინა მას და რამდენი უნდა მფესწრო კიდევ, რომ დასცლოდა.

დღეს უკვე ზედმეტია ფეხბურთის გამორჩეულობაზე საუბარი. ცხადზე უცხადესია, რომ არც ერთი სახეობის სპორტი არ გაშინაურებულა ხალხში ისე, როგორც ფეხბურთი. რამდენი მილიონი ადამიანის ცხოვრებას ახალისებს დედამიწის ყველა კუთხეში ეს ჯადო-თამაში. ხალისი ხალისად, მაგრამ ზოგჯერ კარგ მობურთალს ზღვა სიხარულის დატრიალებაც შეუძლია თანამემამულეთა გულში. ყველას გვახსოვს 1981 წლის 13 მაისი. ამ დღეს ვიტალი დარასელიამ ნატვრის გოლი გაიტანა დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“. მართლაც რომ თავისი გაიტანა ამ გოლით ქართულმა ფეხბურთმა ევროპის საკლუბო ფეხბურთში. ეს გოლი ალბომში არ არის. არადა, დ. ლოლაძე გრაპენტინის კარს უკან მდგარა და ჩვენი ბიჭების გოლების გადაღებაც სდომნია, მაგრამ ვერ მოუხერხებია... სხვადასხვა დროს გადაღებული ფოტოები ავტორს ვიტალი დარასელიას საოჯახო ალბომის სურათებითაც შეუვსია, რათა უფრო სრულად გამოჩენილიყო ხალხთან და თავის საქმესთან პირნათელი ახალგაზრდა კაცის ცხოვრების გზა — ოჩამჩირეში ბავშვური ფეხბურთით დაწყებული და მარშანდელი დეკემბრის იმ სუსხიანი დღით დამთავრებული, როცა ათასობით თბილისელი დამწუხრებული გამოეთხოვა საყვარელ ფეხბურთელს.

ალბომის უკანასკნელ ფოტოს, რომელზეც ვიტალი დარასელიაა შვილთან — ვიტალისთან ერთად გადაღებული, მინაწერი აქვს: „სიცოცხლე გრძელდება“. ფოტომასალას წამძღვარებული ტექსტის ბოლო ბგერაში კი ვკითხულობთ: „ვინ იცის, ახლო მომავალში იქნებ კვლავ ვიხილოთ მწვანე მინდორზე ვიტალი დარასელია, ძე ვიტალი დარასელიასი, ქართული ფეხბურთის რაინდისა, რომლის სახელსაც მუდამ სიყვარულით და მოკრძალებით შეინახავს საბჭოთა ფეხბურთის ისტორია“.

„ᲥᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲓᲐᲠᲐᲡᲔᲚᲘᲐ.

მ. დათიკაშვილის ფოტო.

ᲡᲐᲑᲭᲝ

ნ. გაფრინდაშვილის გამარჯვება



ქართველი ჭადრაკის მოყვარულები დიდი ინტერესით აღევნებდნენ თვალს ვილნიუსში გამართულ ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკე ქალთა 43-ე საკავშირო ჩემპიონატის ძალზე საინტერესო და დაძაბულ ფინალურ ტურნირს, რომელიც, ჩვენდა გასაბარად, ქართველი მოჭადრაკის გამარჯვებით დასრულდა. მსოფლიო ექსჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა უკანასკნელ, გადამწყვეტ მე-17 ტურში დაამარცხა ც. ბაბაბრიშვილი, 12,5 ქულა მოაგროვა და მეოთხედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება. ლ. მუჩნიკმა (ეიდელსონთან) და ე. ახმილოვსკაიამ (ბაგინსკაიტესთან) ყაიმით დაასრულეს შეხვედრები და 12 ქულით მეორე-მესამე ადგილები გადაყვეს. 11,5 ქულით მეოთხე ადგილი ხვდა ნ. გურიელს.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

კასპაროვ-კორჩნოის მატჩში ძალზე პოპულარულია კატალონიური პარტია. თეორიებით მოთამაშეს ამ ბოლო შეხვედრებში, როგორც წესი, სწორედ ამ დასაწყისს ირჩევს.

მერვე პარტიაში კასპაროვი შავებით თამაშობდა. მან მიმართა ვარიანტს, რომლის დროსაც შავები საკმაოდ დიდხანს ინარჩუნებენ შეწირულ პაიკს. ერთ მომენტში, მართალია, საჭირო ხდება ამ პაიკის დაბრუნება, მაგრამ ამასობაში ხერხდება ფიგურების კარგად განლაგება და რთული სამიტელშპილო ბრძოლისათვის მომზადება. ასე იყო ამჯერადაც. კორჩნოის დასაწყისში მცირე პოზიციური უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ კასპაროვმა გაათანაბრა მდგომარეობა. ლაზიერების გაცვლის შემდეგ მოგებაზე თამაში ძალზე ძნელი იყო, მით უმეტეს, რომ კასპაროვი ფრთხილად მოქმედებდა. 40 სვლის შემდეგ მან მეტოქეს ყაიმი შესთავაზა და იგიც დასთანხმდა.

ანგარიში გახდა 4,5:3,5 საბჭოთა მოჭადრაკის სასარგებლოდ.

კვირას გთამაშდა **სმისლოვრიბლის** მატჩის მეცხრე პარტია. მიმომხილველებს აინტერესებდათ, თუ რას მოიმოქმედებდა უნგრელი პრეტენდენტი, რომელიც ორი ქულით აგებდა მატჩს და თანამებრძოლი შავებით თამაშობდა. რიბლიმ ტარაშის დაცვა აირჩია. 15 სვლის შემდეგ დაფაზე მწვავე ორმხრივი შესაძლებლობებით აღსავსე პოზიცია წარმოიქმნა. შემდეგში ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია საგრძნობ უპირატესობას და მეტოქეებმა დაზავება არჩიეს, ანგარიში გახდა 5,5:3,5 სმისლოვის სასარგებლოდ, რომელსაც დარჩენილ სამ პარტიაში მატჩში გამარჯვებისათვის ერთი ქულაც ჰყოფნის.

ᲓᲣᲑᲜᲐ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ-ᲚᲔᲕᲘᲢᲘᲜᲐᲡ მატჩის მეცამეტე პარტიაში მეტოქეები, გასაგებია, ძალიან ფრთხილობდნენ. გთამაშდა ინგლისური დასაწყისის ერთ-ერთი ვარიანტი. თეორიებით მოთამაშე ლევიტინმა ვერავითარ უპირატესობას ვერ მიაღწია, პირიქით, მდგომარეობის საგრძნობი გამარტივების შემდეგ ალექსანდრიას რამდენადმე უკეთესი დაბოლოება ჰქონდა. პარტია გადაიდო.

შეხვედრის განახლებისას 18 სვლა გაკეთდა. ალექსანდრიას შეეძლო ბრძოლის მკვეთრი გაფრენა, რაც მეფის ფრთაზე პაიკით გარღვევის მომზადებასთან იყო დაკავშირებული. ეტყობა, მან შემდეგისათვის გადადო ამ ოპერაციის განხორციელება. 58-ე სვლაზე პოზიციის სამგზის გამეორების გამო შეკიბრების მთავარმა მსაჯმა, ტალინელმა ვაჰესაარმა ყაიმი აღნიშნა და მატჩში წონასწორობა შენარჩუნებულ იქნა — 6,5:6,5.

ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲚᲔᲕᲘᲢᲘᲜᲐ — ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ

ინგლისური დასაწყისი

1. d4 d6 2. c4 b6 3. g3 c5 4. Kg2 Kb7 5. 0c3 g6 6. d3 Kg7 7. e4 0-0 8. h3 0e8 9. Ke3 e5 10. 0-0 d6 11. Qd2 0c6 12. 0h2 0d4 13. f4 e×f4 14. g×f4 f5 15. Kae1 0c7 16. 0f3 0×f3+ 17. K×f3 Qd7 18. Kg2 Kae8 19. 0gh2 Ke7 20. 0d5 0×d5 21. e×d5 Kfe8 22. Kf2 K×e1 23. K×e1 K×e1 24. K×e1 Kd4 25. Qe2 0gf8 26. b3 Kc8 27. Kf2 Qg7 28. Kf3 Kd7 29. Kh4 Kf6 30. Kg3 Ke7 31. h4 h6 32. Kg2 a6 33. Qd2 Kf6 34. Qe1 Kc3 35. Qe3 b5 36. Qe2 Qf6 37. Qe3 b4 38. Kf3 a5 39. Kd1 Kd4 40. Qe2 Ka1.

ამ პოზიციაში პარტია გადაიდო.

41. Qd2 (ჩაწერილი სვლა) Kc3 42. Qe3 Kd4 43. Qe1 Kb2 44. Qd2 0gf7 45. 0g2 Kc3 46. Qe3 0gd8 47. 0gh2 0gc7 48. 0gg2 Qd8 49. 0gh2 Kg7 50. Qd2 Kf6 51. Qf2 Qe7 52. Qe1 Qg7 53. Qe3 Kd4 54. Qd2 Kc3 55. Qe3 Qf6 56. 0gg2 0gd8 57. 0gh2 0gc7 58. 0gg2. ყაიმი.

ᲒᲣᲨᲘᲜ ნანა ალექსანდრიასა და ირინე ლევიტინას მატჩის უკანასკნელი, მეოთხე დამატებითი პარტია ხვალისათვის გადაიდო. ტაიმ-აუტით ისარგებლა ლევიტინამ.

რედაქტორის მოადგილე
გ. ნაბუღია.

ᲓᲘᲓᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲗᲐᲜ

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲖᲔ

მუსიკის მოყვარულთა საზოგადოებრიობა მომსწრეა მრავალი საინტერესო კონცერტისა, რომელიც თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამართულა და ნიჭიერ შემსრულებელთათვის გზა დაუღოცავს ჭეშმარიტი ხელოვნების გზაზე. მათ რიცხვს სოლისტ გოგონათა „კვარტეტიც“ შეემატა, რომლის შემადგენლობაში არიან სახელოვნო მუსიკოსებისა და პედაგოგების, თბილისის კონსერვატორიის პროფესორების ლ. შიუკაშვილის, ი. ბერიძის და ე. ისაკაძის აღსაზრდილნი: პირველი კურსის სტუდენტი ე. ფასეევა, მესამე კურსის სტუდენტები ლ. ბახტაძე, ა. გეოდეკიანი და მ. ტატიშვილი.

მათი ინდივიდუალური სოლო გამოსვლის მხატვრულ-ტექნიკური დონის თანაზომიერებამ მარილაც საკვარტეტო ანსამბლური დაკვრის შთაბეჭდილება შექმნა. კონცერტისადმი ინტერესი გააძლიერა პროგრამის ორიგინალობამ. შესრულდა დიდი ფორმის კომპოზიციები — ინსტრუმენტული კონცერტები, რომლებიც მინიატიურული ლირიკული ან ვირტუოზულ-სკერცოზული (ზნირად სალონური ხასიათის) პიესებისაგან განსხვავებით მუსიკოსებისაგან მოითხოვს ღრმა დრამატურგიულ აზროვნებას, მხატვრული გამომსახველობის მრავალფეროვნებას, რაციონალური და ემოციური საწყისების ჰარმონიულობას და მასტაბურ ტექნიკას. ეს არსებითი თვისებები საკმაოდ კარგად გამოავლინეს ახალგაზრდა შემსრულებლებმა.

ე. ფასეევამ. (ი. ბერიძის კლასი) ლირიკული სინაზით, ნატიფი მელოდიურობით, წმინდა ინტონაციით და დახვეწილი ტექნიკით ააღერა პაგანინისეული ტრადიციების უდიდესი მემკვიდრის ა. ვიეტანის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილება, მონუმენტური სავიოლინო კონცერტი, რომელიც იშვიათად სრულდება საკონცერტო ესტრადებზე.

მუსიკალური სახეების კონტრასტული სფერო წარმოაჩინა ლ. ბახტაძემ (ე. ისაკაძის კლასი) სავიოლონჩელო კლასიკის ერთ-ერთი ნიმუშის —ჰაიდნის დომაჟორული კონცერტის შესრულებისას.

კვლავ რომანტიკული სტილისათვის დამახასიათებელი ლირიკულობით, ემოციური სიმდიდრით, მგზნებარებით და მხატვრული გამომსახველობით ნათელი სხივი მოჰფინეს დარბაზს ა. გეოდეკიანმა (ლ. შიუკაშვილის კლასი) და მ. ტატიშვილმა (ი. ბერიძის კლასი), რომლებმაც ლაღად შეასრულეს უაღრესად რთული ნაწარმოებები —გლაზუნოვისა და ჩაიკოვსკის სავიოლონო კონცერტები.

აღსანიშნავია ჩინებული კონცერტმასტერების— ბ. მშვედლიშვილის, ე. მახარაძის, მ. გოცირიძის და ნ. ბოცხრიკიძის ხელოვნება, რომლებმაც ანსამბლის დახვეწილი კულტურა წარმოაჩინეს.

ა. ლორია.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ

მდიდარი თეატრალური ტრადიციები აქვს თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარს. ომამდელ პერიოდში აქ ფუნქციონირებდა სახელმწიფო საკოლმეურნეო თეატრი. ადგილობრივ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დღესაც დაცულია 1903 წელს გამართულ სპექტაკლთა სარეკლამო აფიშები.

ახლახან ჩხარელმა მშრომელებმა საჩუქრად მიიღეს ახალი, თანამედროვე პროექტით ნაგები კულტურის სახლის დიდებული შენობა. აქ არის მოძრავი სცენა, მაყურებელთა 400-ადგილიანი დარბაზი და კულტმასობრივი მუშაობისათვის გასკუთვნილი ოთახები.

ო. ნიქაბაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲐᲡᲘᲠᲜᲐᲜᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1983-84 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲖᲔ:

სოფლის მეურნეობის წარმოების ელექტრიფიკაცია — ერთი ადგილი, წარმოებას მოუწყვეტლივ;

ტყეთმოწყობა და ტყის ტაქსაცია — ერთი ადგილი, წარმოებას მოუწყვეტლივ;

განცხადებისა და საბუთების მიღება იწარმოებს 1983 წლის 15 დეკემბრამდე, ხოლო საკონკურსო გამოცდები გაიმართება 1983 წლის 16 დეკემბრიდან.

დამატებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ: თბილისი-31, დიღომი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ასპირანტურა, ოთახი 123, ტელეფონი 51-92-76.



ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

„ᲩᲐᲠᲓᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ“

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘ

ჩვენს გაზეთში სპეციალური რუბრიკით „გზადაგზა, თვალის ერთი გადავლებით“ დაბეჭდილ წერილზე „ჩრდილი ქალაქში“ პარტიის ხაშურის რაიკომი რედაქციას წერს:

ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲗ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა.

საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის ბიუროს ამ სამინისტროს ... ამ სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 8 მარტის ერთობლივი გადაწყვეტილება — „ქ. ხაშურში კომუნალური მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 УЭ 06401 **საქართველოს კპ ცკ-ის გამოცემულობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.** 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

13 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.20 — მულტფილმები. 10.00 — ფილმ-სპექტაკლი. 12.00 — დოკუმენტური ფილმი. 12.20 — „ახალგაზრდა ბალეტი“. 12.55 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — სოციალისტური ქვეყნების დოკუმენტური ფილმები. 16.30 — კონცერტი. 17.00 — ახალი ამბები. 17.05 — ტელენარკვევი „პომარელი ყმაწვილები“. 17.35 — უკრავს ბაიანისტთა ტრიო. 18.00 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 18.30 — ტელენარკვევი. 19.00 — მხიარული ნოტები. 19.15 — მეენიერება და ცხოვრება. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმი. 20.10 — ფილმ-კონცერტი. 20.50 და 22.35 — მხატვრული ფილმი „ძმები რიკოები“. I და II სერია. 22.00 — „ვრემია“. 23.40 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 15.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.35 და 10.35 — მუსიკა. II კლასი. 10.05 და 14.00 — ფრანგული ენა. 11.05 — ზოგადი ბიოლოგია. 11.35 და 12.40 — გეოგრაფია. IV კლასი. 12.05 — საჭადრაკო სკოლა. 13.10 — ზოგადი ბიოლოგია. IX კლასი. 13.40 — ბუნებისმეტყველება. III კლასი. 14.30 — მაიაკოვსკი — მხატვარი. 15.45 — ი. ა. გონჩაროვი. 16.30 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — „წყაროები“. 19.50 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 20.30 — სპორტი გასულ კვირაში. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.20 — დოკუმენტური ფილმი. 21.30 — თანამეგობრობა. ტელეჟურნალი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ჩვენი ქვეყნის საოპერო თეატრების ვოკალისტ სოლისტთა კონცერტი. 24.00 — ახალი ამბები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — კინონარკვევი „ხარასავეი“. 9.30 — „მოამბე“. 10.00 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ურალი“ და „ნაპირი“. 10.30— „ქართული ფოლკლორის მოამაგენი“ — პ. უმიკაშვილი (განმეორებით). 11.05 — სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „არაჩვეულებრივი კვირადღე“. 12.05 — დოკუმენტური ფილმი „ეკრანზე არიან კომუნისტები“. 12.30 — აბიტურიენტთათვის — ქიმია. 13.00 — დოკუმენტური ფილმი. 13.20 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოთხრობა მწვანე სახლზე“. 15.15 — სატელევიზიო დადგმა „ახალგაზრდა ცოლქმრის ამბავი“. 17.00 — შვილისწაულთა ინგლისური ენა. 17.30 — პროგრამა მოსწავლეთათვის: მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.05 — „ჩვენ ვუკრავთ შოპენს“. 18.45 — რეკლამა „საახალწლო ვაჭრობა“. 18.55 — ქართული დოკუმენტური ფილმი „გახსენება“. 19.15 — „ექო“ ჩვენი გადაცემების კვალდაკვალ. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „პირველად ჩვენს ეკრანზე“ — ქართული მხატვრული ფილმი „კარიერი“. 21.45 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი“. 21.55 — ხვალ ტელეეკრანზე. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატების, საბჭოთა კავშირის საოპერო თეატრების ვოკალისტების კონცერტი (მ.). 24.00 — „საჭადრაკო მიმოხილვა“. 00.15 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 15.20 — დოკუმენტური ფილმი „ძმები ვასილიევები“. 16.35 — განცხადებები. 16.40 — სატელევიზიო დადგმა „კოლა ბრუნიონი“. 18.10 — მოსწავლეთათვის — გეოგრაფია.